პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი. 24 თებერვალი, 1990 წელი ● № 9 (2886) ● СУББОТА, 24 ФЕВРАЛЯ 1990 г.

რედაქტორის უბის წიგნაკიდან

## ვისთვის „შახსეი-ვახსეი,“ ვისთვის კი...:

### ანუ ყველამ თავისი საქმე უნდა იცოდეს და ის აკეთოს

**რამდენიმე** ხნის წინ სამინისტროს შენობაში ნაცნობი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, ვფიქრობ ის მაინც იცნობს საკუთარ თავს, თუმცა ეს არ არის ახლა მთავარი) თანამშრომელი შემხვდა, საუბარს შევყევით...

როდესაც იგი ჩვენი გაზეთის ზოგიერთ კრიტიკულ პუბლიკაციებს შეეხო — „მაინც რაში გჭირდებათ ეს „შახსეი-ვახსეიო“(!) მითხრა მიამიტური გამომეტყველებით. უნდა გამოგიტყდეთ ძალზე გავოცდი (ჯერ ერთი იმიტომ, რომ კონკრეტულად მისგან არ მოველოდი ჟურნალისტური საქმის ამგვარ „ცოდნას“ და „შეფასებას“, რადგან მანამდეც და ახლაც მას ერუდირებულ საკმაო პრაქტიკული გამოცდილების მქონე, საქმისათვის ჭეშმარიტ გულშემატკივარ, პრინციპულ პიროვნებად ვთვლი და მეორეც იმიტომ, რომ გულახდილად რომ ვთქვა ყველა-ყველა და ჩვენი გაზეთი კრიტიკული მასალების სიმრავლით ვერ დაიტრაბახებს) და გადავწყვიტე ძალზე მოკლედ როგორც კი ამას შევძლებდი ამეხსნა მისთვის, რომ ყოველგვარი ნორმალური წერილობითი მასალა (თუ ნაწარმოები) აუცილებლად, (წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავითარი დანიშნულება და აზრი არ ექნება) უნდა იყოს ინფორმაციული, დიდაქტიკური და ესთეტიურიდან, — სამივეს, უკიდურეს შემთხვევაში ერთ-ერთი ფუნქციის მატარებელი მაინც და რომ კრიტიკული ხასიათის საგაზეთო მასალა შახსეი-ვახსეის ფუნქციის კი არა, არამედ ინფორმაციული და დიდაქტიკურ-პროფილაქტიკური ხასიათის მატარებელია. ამასთან, როდესაც ასეთი ხასიათის მასალა იბეჭდება გაზეთში, ეს შემთხვევითი მოვლენა კი არა, არამედ რედაქციის გააზრებული, გამოზომილი ნაბიჯია, რომელიც შეგნებულად არის გადადგმული. ამ შემთხვევაში ის ამ სახითაც ჩვენი გაზეთის ფუნქციის უმთავრეს მიზანს — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობის მამობილიზებელ და აღმზრდელობით მუშაობას ემსახურება.

და კიდევ, რესპუბლიკის მასშტაბით თანამშრომელთა მიერ საუბედუროდ იმდენი სახის სხვადასხვა დარღვევა თუ გადაცდომა ხდება, რომ კვირაში ერთხელ გამომავალ მცირე ფორმატის ჩვენს გაზეთში მათი ნაწილის აღწერაც კი მთელ გაზეთს დაიკავებდა და სხვა მასალებისათვის ადგილიც კი არ დაგვრჩებოდა. ამასთან მოვლენათა მუქ ფერებში წარმოდგენა და უარყოფითის უტრირება რედაქციას მიზნად არასოდეს არ დაგვისახავს. მათი აღნუსხვა და გამორკვევა სამინისტროს სხვა სამსახურების კომპეტენციას და მოვალეობას წარმოადგენს, ჩვენ კი სპეციფიური ფუნქციები გვაკისრია. მით უმეტეს ახლა, საჯაროობის პირობებში, როდესაც უნდა „გამომზეურდეს“ ისიც, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ „მუნდირის ღირსების დაცვის“ ყალბ ფრაზებს ამოფარებული „ცხრაკლიტულში“ ჩასაკეტად ითვლებოდა და შედეგად დღეს ამდენი საჭირბოროტო პრობლემა დაგვიტოვა, რომელთა შესახებაც სხვებთან ერთად მასაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს...

მოსაუბრე დაფიქრდა, თვალებში შემომხედა — მაპატიე, მეჩქარება, — მითხრა, წარმატება მისურვა, დამემშვიდობა და კიბეებს აუყვა...

როდესაც ამ ნომერში დასაბეჭდად მასალას — „რა გვიჩვენა რეიდის რეიდმა“ ვამზადებდი, ეს ამბავი გამახსენდა და გავიფიქრე, რომ იმ ნაცნობმა მგონი გაიგო მეთქი რისი ახსნაც დავაპირე მისთვის და ახლა მაინც მიხვდება რომ ეს მასალაც არა „შახსეივახსეისათვის“, არამედ გულისტკივილით არის დაწერილი, რათა იმავე „ქვაზე“, ეს უკვე მერამდენედ, სხვა თანამშრომელმაც არ წაიფორხილოს...

მერე რატომღაც ეჭვი შემეპარა — ვაი თუ ვერ გამიგო მეთქი. შემდეგ ისევ იმედი მომეცა...

1. „შახსეი-ვახსეი“ — მუსულმანების დღესასწაული, რომლის დროსაც ყველაფერი დაშვებულია.

## დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატებად

**რესპუბლიკის** შს ორგანოებიდან დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი **ჰენრი თევდორეს ძე პატარაია** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების უფროსი **როსტომ ვლადიმერის ძე გუნთაიშვილი** — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საჩხერის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი **ვაჟა აკაკის ძე გავაშელი** — საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე **ჯემალ ვლადიმერის ძე გახოკიძე** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

გალის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის ოპერრწმუნებული **გენადი გრიგოლის ძე ლაჭავა** — ამ განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგამოძიებო განყოფილების უფროსი **შენგელი ალექსის ძე ფიცხელაური** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

## მოსახლეობა ნდობას უცხადებს



**საგარეჯოს** 145-ე საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე, რომელიც გაიმართა კინოთეატრ „გარეჯში“ შრომითმა კოლექტივმა, მოსახლეობამ და დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა თავისი არჩევანი შეაჩერეს რაიონის განყოფილების უფროსზე, მილიციის მაიორ მიხეილ ამირანის ძე არჩუაძეზე.

16 თებერვალს დეპუტატობის კანდიდატმა გაიარა რეგისტრაცია. წინ მას მოელის დიდი კონკურენცია რესპუბლიკის პარლამენტში ხმის მოპოვებისათვის. წარმატება ვუსურვოთ ბატონ მიხეილს ასეთი საპატიო მიზნის მისაღწევად.

...შს ორგანოებში 1973 წელს მოვიდა. ჯერ უბნის ინსპექტორი იყო. ჩაბარებული ჰქონდა მეტად რთული უბანი. მისი პირველი ნაბიჯები, პროფესიული ალღო და დაკისრებული საქმის სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენილა. გრძნობდა მის ერთგულ და ძლიერ ხელს მოსახლეობაც, აქი არც ერთი თხოვნა თუ განცხადება, საჩივარი თუ მეზობლური დავა მისი გულისყურის, მუხლჩაუხრელი მუშაობის გარეშე არ რჩებოდა.

1978 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მ. არჩუაძეს საგარეჯოს რაიონის დაცვის განყოფილების უფროსად ნიშნავენ. სწორედ ამ დროს ხდება ახალგაზრდა თანამშრომლის ჯერ კიდევ აუმოქმედებელი რეზერვების ამუშავება, რომელიც ასე ესაჭიროებოდა რაიონს.

მისი თაოსნობით დადებითი შედეგების მიღწევისათვის განყოფილებას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სანიმუშო განყოფილების წოდება. ბოლო ათი წლის განმავლობაში კი სოცშეჯიბრში სსრ კავშირის მასშტაბით ბადალი არ ჰყავს.

ძნელია ამ პატარა საგაზეთო სტატიაში მკითხველს გააცნო ყველაფერი ის, რისთვისაც ხალხმა ასეთი დიდი ნდობა გამოუცხადა მ. არჩუაძეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეჯოს რაიონში განლაგებულ სახელმწიფო ობიექტებზე, რომლებიც დაცვის ქვეშ არიან, ასეთი კი 120-ია, არ მომხდარა დანაშაული.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ დაცვის ცენტრალურ პულტზე ჩართული სიგნალიზირებული ბინებიდან წლების განმავლობაში არ ყოფილა პრეტენზია. ასეთი და სხვა სამსახურებრივ-ოპერატიული მიღწევები განყოფილებას მრავალი აქვს. ცალკე საუბრის საგანია განყოფილების საზოგადოებრივი საქმიანობა. განყოფილებას განპიროვნებული აქვს და ამუშავებს ათ ჰექტარ ვენახს. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიუწყებოდით, რომ მდინარე თვალთხევზე გაიდო „მეგობრობის ხიდი“, განყოფილებამ აგრეთვე წვლილი შეიტანა საგარეჯოს ბავშვთა სააღმყოფოს მშენებლობაში, აქტიურად მონაწილეობენ ისტორიული ძეგლების აღდგენით სამუშაოებში. განყოფილებას შეიძლება ითქვას თავის სამუშაო გეგმაში შეტანილი აქვს საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. საკმარისია ითქვას, რომ განყოფილებას ყოველგვარი დირექტივებისა და მითითებების გარეშე თავისი ხვედრითი წილი შეაქვს რესპუბლიკისა თუ კავშირის საქველმოქმედო ფონდებში, შეფობა აქვს აღებული ომში დაღუპულთა ოჯახებზე და ერთ ოჯახს საჩუქრად სახლიც აუშენეს. დაახლოებით ასეთია ძუნწი ინფორმაცია საგარეჯოს დაცვის განყოფილებაზე, რომელსაც სათავეში უდგას და უნარიანად ხელმძღვანელობს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი, მილიციის ფრიადოსანი, მილიციის მაიორი მიხეილ არჩუაძე.

წარმატებით დაწყებულ გზაზე სულ წარმატებით გევლოთ!

**ს. ბედია.**

## УСТРАНИТЬ ИМЕЮЩИЕСЯ НЕДОСТАТКИ

**– В условиях осуществляющейся сейчас в нашей стране радикальной экономической реформы особую значимость приобретает производственная и хозяйственная деятельность предприятий и организаций органов внутренних дел. О состоянии данной работы в системе МВД ГССР по итогам прошлого года рассказывает начальник ФПУ министерства подполковник внутренней службы И. Гугунава.**



**ПРЕДПРИЯТИЯМИ** и хозяйственными организациями министерства осуществлялись определенные организационно - технические мероприятия по обеспечению выполнения заданий плана экономического и социального развития за 1989 г. Разработаны и доведены до подведомственных подразделений мероприятия по оздоровлению финансового состояния, утверждена специальная программа экономии денежных средств, материально - технических, сырьевых ресурсов и повышения фондоотдачи основных средств по исправительно - трудовым учреждениям на 1989—1990 годы и на перспективу.

Однако, как свидетельствуют отчетные данные по производственной и финансово-хозяйственной деятельности, результаты, достигнутые в прошлом году предприятиями и хозяйственными организациями министерства, неудовлетворительны, что свидетельствует о низком уровне их организаторской работы. Так, например, план по выпуску промышленной продукции в целом выполнен на 80,2 процента, не справились с ним восемь предприятий. Планы по реализации и обязательства по поставкам не выполнили девять предприятий, в целом же эта цифра составила 84,9 процента.

Столь же неутешительны данные выполнения плановых заданий по выпуску светотехнического оборудования (89,1 процента), электроустановочных изделий (29 процентов), горнообогатительного оборудования (56,7 процента), металлических сеток и шкафов (соответственно 95,5 и 41,7 процента). Такое положение с производством продукции в заданной номенклатуре в известной степени можно объяснить стихийными бедствиями, нарушениями поставщиками договорных обязательств по поставкам сырья и материалов, в частности, цемента, листовой стали, комплектующих изделий, однако в основном причины создавшегося положения сле-

(Окончание на 2-й стр.).

# В ДЕЛОВОЙ ОБСТАНОВКЕ

## ПРОШЛИ НА ДНЯХ В ОВД РЕСПУБЛИКИ ЗАНЯТИЯ ПО ПОЛИТУЧЕБЕ

**22 ФЕВРАЛЯ** во всех подразделениях органов внутренних дел республики прошли занятия по политучебе по теме курса: «Всестороннее развертывание социалистического демократизма, углубление самоуправления народа, укрепление правовой основы советского общества».

Несмотря на сложную оперативную обстановку в столице республики, в клубе Калининского РОВД собрались руководители групп политучебы и политсеминаров, пропагандисты, утвержденные приказом начальника подразделения еще в августе месяце прошлого года. Пропагандистами стали идейно и политически подготовленные сотрудники — заместитель начальника отдела по политчасти капитан милиции Г. Миндикаури, заместитель начальника РОВД по оперативной части майор милиции М. Чаподзе, начальник отделения БХСС капитан милиции Т. Маглакелидзе, участковый инспектор капитан милиции Э. Гогошвили, инспектор по делам несовершеннолетних капитан милиции Э. Пухашвили.

Выступивший перед сотрудниками руководитель занятий начальник Калининского РОВД подполковник милиции Р. Маглакелидзе ознакомил собравшихся с очередной темой занятия «Человеческий фактор перестройки, деятельность КПСС по активизации человеческого фактора, повышению правосознания», подчеркнул, что только реальное включение человека во все государственные и общественные дела в качестве субъекта деятельности позволит преодолеть отчуждение человека, разрыв между общими и личными интересами, повысить активность личности во всех сферах общественной жизни.

**А. МАЛАЯНЦ.**



# УСТРАНИТЬ ИМЕЮЩИЕСЯ НЕДОСТАТКИ

(ОКОНЧАНИЕ)

дует искать в серьезных недостатках в организации производства и труда осужденных, нарушениях технологической дисциплины, значительных непроизводительных расходах.

Велик и процент брака, потери от которого в прошлом году составили 29 тысяч рублей. Ряд ИТК, где начальниками подполковник в/с Р. Чичуа, майоры в/с Г. Кебурия и Р. Одикадзе, допустили удорожание товарной продукции. Ни одно предприятие не выполнило плана по прибыли, которая в целом составила 3,2 миллиона рублей, т. е. всего 33 процента от плана. За отчетный период по предварительным данным уплачено штрафов на сумму 385 тысяч рублей, в том числе за недопоставку продукции на 22 тысячи рублей.

На предприятиях УИД МВД ГССР не обеспечено надлежащее хранение и полная сохранность социалистической собственности. Так, в ИТК, где начальником майор в/с Р. Одикадзе, в ходе ревизии выявлены пришедшие в негодность и списанные за счет производства тарные дощечки на сумму 9,2 тыс. рублей. Учреждение необоснованно возвратило поставщикам тарные дощечки на сумму 33,9 тыс. рублей, стоимость которых ранее была списана с расчетного счета учреждения.

В ЛТП склад готовой продукции фактически не функционирует, ее отгрузка производится непосредственно из цехов, которые перегружены готовой и незавершенной продукцией. Так, в день ревизии в кулечном цехе хранились бумажные пакеты в количестве 1163,3 тыс. штук на сумму 29,1 тыс. руб. На складе готовой продукции хранился крой в количестве 2.960 пар на сумму 2,8 тыс. руб., который является некачественным и дальнейшему использованию не подлежит.

При проведении ревизии в СМУ, НИЦБД, МВД Аджарской АССР были выявлены нарушения и недостатки в работе, за которые должностные лица привлечены к дисциплинарной и материальной ответственности.

Не обеспечивается выполнение неоднократных указаний по снижению сверхнормативных запасов товарно-материальных ценностей, на 1 октября 1989 г. по УИД они составили 5.513 тыс. руб., т. е. на уровне начала года. Продолжают оставаться неудовлетворительными результаты трудового использования осужденных.

Для устранения отмеченных недостатков в настоящее время руководству УИД МВД ГССР (начальник — подполковник в/с Н. Мосиашвили) поручено разработать и осуществить с учетом особенностей текущего года дополнительные мероприятия по выполнению плановых заданий, обеспечить последовательное оздоровление финансового положения подведомственных предприятий и организаций с целью устранения бесхозяйственности во всех проявлениях, сокращения сверхнормативных запасов товарно - материальных ценностей, коренного улучшения расчетно - платежной дисциплины. Руководству ОКСа (Н. Маргвелашвили) и СМУ (Р. Чомахидзе) поручено предусмотреть конкретные меры по улучшению качества выполняемых строительно-монтажных работ, устранению недостатков в организации работ и труда, особенно спецконтингента. Эти и другие мероприятия призваны способствовать повышению эффективности деятельности предприятий и хозяйственных организаций системы МВД ГССР, безусловному выполнению ими всех плановых заданий и намеченных программ

# ინტერნაციონალური ვალი მოიხადა



**ომი** ავღანეთის რესპუბლიკაში... წარმოვიდგინოთ სურათი, მებრძოლი ინტერნაციონალისტის მიერ აღწერილი — მიმდინარეობს ბრძოლა. „დუშმანების" არტილერია საშუალებას არ აძლევს საბჭოთა მეხანძრეთა ჯგუფს ჩააქრონ ხანძარი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტზე. შიშის დამთრგუნველი სულისკვეთებით გამსჭვალული მეხანძრეები არ ეპუებიან მტრის ტყვიას, პატიოსნად იხდიან ფიცით განმტკიცებულ ჯარისკაცის ვალს...

ასეთი სურათი ტიპიური ეპიზოდია „მამაცობისათვის" მედლის კავალერის სოსო შალვას ძე ღუღუნიშვილის საბრძოლო ბიოგრაფიაში.

სკკპ წევრი ს. ღუღუნიშვილი 1982 წლიდან მსახურობს ქ. თბილისის № 1 სახანძრო ნაწილში. ჰყავს სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ახლახან ს. ღუღუნიშვილის წინაშე კვლავ გაიელვეს ავღანეთის ქრიზოლიანი დღეების მოგონებებმა. მას გადაეცა ორი საპატიო ჯილდო — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი და ავღანეთის პრეზიდენტის ბრძანებით მინიჭებული მედალი „მებრძოლ ინტერნაციონალისტს მადლიერი ავღანელი ხალხისაგან."

**ა. ოთარაშვილი.**

* * *

**სურათზე: ს. ღუღუნიშვილს ჯილდოებს გადასცემს ქ. თბილისის № 1 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, შ/ს ლეიტენანტი ა. მახარაშვილი.**

# რა გვიჩვენა რეიდის... რეიდმა

**ანუ იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ავტოინსპექტორის დაბალი პროფესიული ჩვევები და უხეშობა ვერ შეამცირებს მოძრაობის წესების დამრღვევთა რიცხვს და ვერ აღადგენს მის ავტორიტეტს**

**ყველაფერი** დაიწყო იმით, რომ 13 თებერვალს რედაქციისათვის ცნობილი გახდა თბილისში სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ დიდი რეიდის დაწყების შესახებ, რომლის მასშტაბი განპირობებული იყო ბოლო წლების მანძილზე ავტოსაგზაო შემთხვევების, ტრაგიკული შედეგების, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების მკვეთრი ზრდით. ამასთან, ახლახანს ჩატარებულ კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზედაც განხილული იქნა 1989 წლის შედეგები, სამინისტროს ხელმძღვანელობამ პრინციპული და მკაცრი შეფასება მისცა ავტოინსპექციის სამმართველოს ხელმძღვანელობის და თანამშრომლების სუსტ მუშაობას.

რეიდის მიმდინარეობაზე მასალების მოსამზადებლად რედაქციაშივე განვსაზღვრეთ ჩვენი მუშაობის ორი ძირითადი მიმართულება: პირველი — დაგვეფიქსირებინა თუ პროფესიონალურად რამდენად სწორად ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ავტოინსპექციის თანამშრომლები და მეორე — გვეჩვენებინა რეიდის მასშტაბი, მსვლელობა, შედეგი და მისი მნიშვნელობა.

მასალის მოსამზადებლად გადავწყვიტეთ, იქვე, რედაქციასთან ახლოს რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან დაგვეწყო ჩვენი რეიდი. ჩანაფიქრის განსახორციელებლად ავტოინსპექტორთან დამრღვევი მძღოლის როლში კონტაქტში შესასვლელად არ მოვერიდეთ საგზაო ნიშნის მოთხოვნის დარღვევას, უფრო მეტიც საგანგებოდ არ დავემორჩილეთ ავტოინსპექტორის ნიშანს, იმ ადგილს 30-40 მეტრით გავცდით და მხოლოდ მაშინ გავაჩერეთ მანქანა ვითომდა ტელეფონზე დარეკვის სურვილით.... ტელეფონთან რამდენიმე წამს დავახანე საუბრის იმიტაციის მიზნით და ამის შემდეგ გამოვემართე იქვე მდგარი ავტომანქანისაკენ, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: „საბუთები", — იყო ავტოინსპექტორის რბილად რომ ვთქვათ მოთხოვნა. ამასთან რატომღაც არ მომესალმა და არ წარმომიდგინა თავისი პიროვნება, როგორც ამას წესი მოითხოვს. ყოველივე ამას დაუმატეთ მისი „დამთრგუნავი" მზერა და ადვილად წარმოიდგენთ თუ რა „უფლებააყრილად" ვიგრძენი თავი. ინსპექტორის მხრიდან თავიდანვე ამდენი დარღვევის შემდეგ გადავწყვიტე მეთქვა მისთვის, რომ „მებრძოლი გუშაგის" თანამშრომლები ვიყავით, ვატარებდით რეიდს და ჩვენს მიერ „დაშვებული დარღვევის" მიუხედავად მისი ქმედება დამრღვევ მძღოლთან მიმართებაში ამ კონკრეტულ შემთხვევაში არასწორად მიგვაჩნდა... მაგრამ ვინ დაგვაცადა ყველაფრის თქმა, როგორც კი გაიგო, რომ თანამშრომელთან ჰქონდა საქმე, მაშინათვე ამბიციურობას კიდევ უფრო უმატა (არ ვიცი „საკბილოს" დაკარგვის თუ რაიმე სხვა მიზეზით) ეს მაფიქრებინა იმანაც, რომ ავტოინსპექტორები „თავიანთ რეიდს" ატარებდნენ რკინიგზის სადგურის ზედა შესასვლელისკენ ამავალი გზის კუთხეში, სადაც სულ რამდენიმე დღეა ჰკიდია ახალი, ამკრძალავი ნიშანი. ამ მიზეზით ზოგიერთი მძღოლი არღვევს მის მოთხოვნას ელემენტარული შეუჩვევლობის გამო, იქ კი მათ „ხვდებიან" ასახვევის კუთხეს მოფარებული „წესრიგის დამცველები", რომლებიც ვფიქრობ მძღოლთა მხრიდან არც დარღვევას არ დაუშვებდნენ და ქალაქში მიმდინარე რეიდისათვის უფრო ბევრის მომტანი იქნებოდა, თუ დადგებოდნენ არა ამკრძალავი ნიშნის უკან, მოსახვევს მოფარებულნი, არამედ მის წინ, რადგანაც მათი თვალთახედვის არეში მოექცეოდა მოედანზე მოძრავი ყველა სატრანსპორტო საშუალება. — „როგორ, თანამშრომელი ხარ და მანქანას არ გვიჩერებო?" როგორ ვერაფრით ვერ „მოვიგე" ამ კაცის გული მეთქი — გავიფიქრე და აქ გადავწყვიტე გამეხადა ჯარიმა ჩემი „დარღვევისათვის", რათა ამის შემდეგ მაინც „რეაბილიტირებული" ვყოფილიყავი იმ ავტოინსპექტორის თვალში და გავმხდარიყავი სრულუფლებიანი მოქალაქე, ვუთხარი, რომ მზად ვიყავი სათანადოდ დავესაჯე დარღვევისათვის.. ამასთან ბოლოს და ბოლოს მინდოდა მისი პიროვნების დადგენა რადგანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ იგი არ წარმომიდგა, მაგრამ მას ქვიტარიც არ აღმოაჩნდა და როგორც თვითონ განმარტა ქვიტარი არ ჰქონდა რეიდის გამო, გვარად კი მალრაძე იყო. აქ მეორე ავტოინსპექტორმა, რომელსაც სხვათაშორის პირველისგან განსხვავებით ქვიტარი ეკეთა და ამდენ ხანს საქმეში არ ერეოდა ნორმალური ტონით განმიმარტა, რომ ქალაქში ვითარება გართულებულია, ბევრი ავტომანქანაა გატაცებული და ამიტომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ტარდება დიდი რეიდი...

— ეხ, — გავიფიქრე ჩემთვის — კარგად არის ცნობილი რეიდის შესახებ, რესპუბლიკის და დედაქალაქის გზებზე შექმნილი საგანგაშო მდგომარეობაც, მაგრამ ვფიქრობ ზოგიერთი (სამწუხაროდ არც თუ ისე მცირერიცხოვანი, როგორც ამას მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები გვიჩვენებენ) ავტოინსპექტორის დაბალი პროფესიული ჩვევები და უხეშობა (რომლის ერთ-ერთი მაგალითია ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტი, რაც მხოლოდ გაღიზიანებას და არასასურველ რეაქციას იწვევს მოსახლეობაში) ვერ შეამცირებს მოძრაობის წესების დამრღვევთა რიცხვს და ვერ აღადგენს ავტოინსპექციის ავტორიტეტს მოქალაქეთა თვალში. ავტორიტეტს, რომელიც ჩემი აზრით მათ მიერ გადასაჭრელი პრობლემების დიდ ნაწილს მექანიკურად მოხსნიდა დღის წესრიგიდან.

**ჰ. ანდრიაძე**

**P.S.** სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელობა დიდ მუშაობას ეწევა თანამშრომელთა კადრების შერჩევის, მათი მაღალპროფესიონალებად ჩამოყალიბების, საკუთარი რიგების სიწმინდისათვის. ჩვენს მიერ აღწერილი ფაქტის მსგავსი შემთხვევები შედარებით მცირდება, მაგრამ როგორც ვრწმუნდებით მათ წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არასაკმარისია. ჩემი ღრმა რწმენით ძირითადად სწორედ ამ გზით საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით (და არა მხოლოდ ჯარიმების გაზრდით), უნდა წარიმართოს თითოეული თანამშრომლის ძალისხმევა, რათა მოქალაქეებმა ბოლოს და ბოლოს დაინახონ და ირწმუნონ მათი უანგარობა, პატიოსნება, საქმისადმი ჭეშმარიტი დამოკიდებულება, დაინახონ თითოეული მათგანის მაღალი პროფესიონალიზმი — დაწყებული გარეგნული შესახედაობით (სიმაღლე, სიმსუქნე, იერსახე, ჩაცმულობა და ა. შ.) დამთავრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ნებისმიერ სიტუაციაში მოქალაქესთან ურთიერთობის მაღალი კულტურით. მითუმეტეს, რომ ჩვენი ხალხი მათით მსჯელობს არა მხოლოდ ავტოინსპექციის, არამედ მთლიანად მილიციის და ასე განსაჯეთ შს სამინისტროს სისტემის მუშაობის საერთო კულტურაზეც.

ამ მხრივ კი როგორც ვხედავთ სამწუხაროდ ბევრი რამ კიდევ საკმაოდ შორს არის სრულყოფისაგან. სწორედ ამიტომ რედაქცია მზად არის მჭიდრო თანამშრომლობისათვის — დაწყებული მოწინავე გამოცდილების გაზიარებით, დამთავრებული ერთობლივი რეიდების მოწყობით ავტოინსპექტორთა მუშაობაში დარღვევების გამოსავლენად, მათი შემდგომი აღმოფხვრის მიზნით.

ყოველივე ზემოთ თქმულის თაობაზე ველით გამოხმაურებას სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოდან.

* * *

მასალას თბილისის შს სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ ჩატარებული რეიდის მასშტაბის, მსვლელობის შედეგების და მისი მნიშვნელობის შესახებ შემოგთავაზებთ „მებრძოლი გუშაგის" მომდევნო ნომერში.

# თორმეტი ყაჩაღის თორმეტი „საქმე“

**დასრულდა** კიდევ ერთი საგამოძიებო საქმე, საზოგადოებისათვის კიდევ ერთ მეტად საშიშ ყაჩაღურ ჯგუფს აეხადა ფარდა. სულ მალე ასე გულდასმით და სკურპულოზურად შესწავლილი საქმის სქელტანიანი ტომები არქივს ჩაბარდება. ხოლო ამ ტომების „გმირების“ მიერ მიყენებული ტკივილი, უძილო ღამეები და შიში ალბათ დიდხანს ექნება ხალხს, რომლებმაც ყოველი ეს საკუთარ თავზე გამოსცადა.

არ გვინდა ტრაფარეტში მოვექცეთ და მრავალი ეპითეტით შევამკოთ ამ მართლაც და გრანდიოზული, როგორც გეოგრაფიით ასევე მნიშვნელობით, საქმის დამგვირგვინებლები, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, მათ მიერ მხილებულია დანაშაულებრივი ჯგუფი, დროულად თავიდან აცილებულია ახალი დანაშაული და გაუბედურებული ოჯახები.

აი ისინი ვინც თავდაუზოგავად იშრომა და ამხილა ბანდა, რომლის მოქმედების არეალიც გორიდან ლანჩხუთამდე გრძელდებოდა: გორის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი უ. მგელაძე, სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ა. გოგიჩაშვილი, საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ს. ამირანაშვილი, საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელი, მილიციის მაიორი ო. პრეგვაძე და საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი, მილიციის მაიორი ა.იზორია. ახლა კი მათი „კომპანიონების“ მიერ ჩადენილი ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ, თუმცა დანაშაულები ტყუპის ცალებივით გავდნენ ერთმანეთს. ღამით სახლში შეცვივდებოდა ხუთი შეიარაღებული, ნიღაბჩამოფარებული ყაჩაღი და სიტყვიერი მუქარით და არაადამიანური ფიზიკური ზემოქმედებით ყოველ ღონეს ხმარობდა ფულისა და ძვირფასეულის ხელში ჩასაგდებად. მათი მოღვაწეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გორის რაიონიდან დაიწყო, გადავიდა ქარელში და შემდეგ მათი დანაშაულებრივი მეტასტაზები გურიასაც მოედო...

1989 წლის 15 ივლისს დაახლოებით 02 საათზე შეიარაღებული ბანდა გ. მეგრელიშვილის, ნ. სამსონიას, გ. ხაჩირაშვილის და კ. ბედოშვილის შემადგენლობით თავს დაესხა ლანჩხუთის რაიონ სოფ. მამათში მცხოვრებ გ. კ-ს ოჯახს, რომელთა მიმართაც გამოიყენეს სასტიკი ფიზიკური ძალადობა და მიაყენეს სხეულის დაზიანება. როდესაც სახლის გაჩხრეკვის შემდეგ ძვირფასეულობა ვერ იპოვეს თავიანთი „ვიზიტი“ რომ რაიმეთი გაემართლებინათ წაიღეს მაჯის საათი „ელექტრონიკა“ და ხუთას მანეთამდე ფული. დაახლოებით 02 საათსა და 30 წუთზე მოკვლის მუქარით გ. კ. აიძულეს მისივე კუთვნილი ავტომანქანით ბანდა წაეყვანა მეზობელ ბ. ლ.-თან და მოტყუებით გამოეყვანა იგი სახლიდან. აქაც იგივე სცენა დატრიალდა. „ეს თავზეხელაღებული ხალხი ფულისათვის საკუთარ მამას გამოჭრიან ყელსო“ იტყვის შემდეგ ერთ-ერთი დაზარალებული და ალბათ ყველაზე სწორ შეფასებას მისცემს ამ თანამედროვე ბარბაროსთა მოქმედებას. ამჯერად მათ ხელი არ მოსცარვიათ, ოჯახიდან წაიღეს 10 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვა სამკაული თუ ძვირფასეულობა. გამძვინვარებულმა ყაჩაღებმა რისი წაღებაც ვერ შესძლეს ადგილზევე გაანადგურეს და ამით კიდევ 800 მანეთის ქონებრივი ზარალი მიაყენეს მორალურად ისედაც უკვე განადგურებულ ოჯახს.

როდესაც ადამიანის სისასტიკის გამოვლინება ასეთ კულმინაციას აღწევს, უნებლიედ იბადება კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა ძალზე ძნელია.

სად იზრდება ასეთი ხალხი? ოჯახში? თუ?...

კვალის ასაბნევად ბანდა რამოდენიმე დღეში კვლავ ქართლში ინაცვლებს. ამ დროს მათ ეყოფა სხვა პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც ცალკე იწყებენ დანაშაულებრივ „მოღვაწეობას“. გორისა და ქარელის რაიონში მათ მოაწყვეს რამოდენიმე ყაჩაღური თავდასხმა, ააწიოკეს პატიოსანი, მშრომელი ოჯახები.

1989 წლის ოქტომბერში გ. მეგრელიშვილმა კვლავ გურიას მიაშურა, შემოიკრიბა თავის გარშემო მასავით ნასამართლევი და ფულზე დახარბებული ხალხი, ჩამოაყალიბა კიდევ ერთი მიკრო ბანდა და შეუდგა „მუშაობას.“

...23 ოქტომბერს ღამით, ცეცხლსასროლი იარაღით და დანებით შეიარაღებული ბანდა თავს დაესხა ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანათის მკვიდრს ნ. ჭ-ს, რომლის ოჯახის წევრთა მიმართ არნახული ძალადობა და სისასტიკე გამოიჩინა. ოჯახის წევრები დააბეს და დაუწყეს ფეხებით ცემა, დაემუქრნენ არასრულწლოვანი ქალიშვილის გაუპატიურებით და მოკვლით. ნაცემმა და დასისხლიანებულმა ნ. ჭ-მ უჩვენა ყაჩაღებს თუ სად ჰქონდა ოჯახს შავი დღისთვის გადანახული 2600 მანეთი...

ნათქვამია მადა ჭამაში მოდისო— ასეც მოუვიდათ ბანდიტებს, ეს როდი იკმარეს, ფული კიდევ ექნებაო იფიქრეს და გამოსატეხად წამების ფაშისტურ მეთოდებს მიმართეს: გაახურეს ელექტრო უთო და რამოდენიმე საათის განმავლობაში „აუთოვებდნენ“ ცემისაგან ისედაც სიკვდილის პირას მიყვანილ კაცს. აბა ეს მეთოდი როგორ გასჭრიდა როდესაც ადამიანს მეტი არა ებადარა. ბანდიტებს ეცოტავათ ნადავლი და რაც ხელში მოხვდათ ყველაფერი მანქანის საბარგულში ჩაყარეს, ხოლო ცოცხალ-მკვდარ ოჯახის უფროსს შიშველ ტანზე გავარვარებული უთო დაადეს და მიატოვეს...

გამოძიება შემდეგ დაადგენს მატერიალურ ზარალს, რაც ამ გარეწართა მოქმედებით იქნა მიყენებული, მაგრამ ვინ დაადგენს და ვინ აუნაზღაურებს მორალურ ზარალს და განსაცდელით გამოწვეულ ტკივილს იმ ხალხს, რომელმაც ყველა ეს სისასტიკე საკუთარ ზურგზე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით გამოსცადა.

ჩვენ ვესაუბრეთ გორის რაიონის შს განყოფილების უფროსს, მილიციის პოდპოლკოვნიკ უ. მგელაძეს და ვკითხეთ თუ რა საფუძველი შეიძლება ჰქონოდა ასეთ დანაშაულებრივ ქმედებას, როგორ და როდის შეიძლებოდა გაედგა ფესვები ჩვენს გვერდით ასეთ დამნაშავე ელემენტებს? როგორც გაირკვა ბანდის არც ერთი წევრი შემთხვევით არ მოხვედრილა ასეთ გარემოცვაში მათ ამის საფუძველი და მომზადებული ნიადაგი ჰქონდათ. კერძოდ, თითქმის ყველა მათგანი ნასამართლევია ზოგი რამოდენიმეჯერაც. ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი საზოგადოებისაკენ მობრუნება, შრომით საქმიანობაში ჩართვა. არ მინდა მკითხველმა გაიგოს ისე თითქოს ყველა ეს ხალხი გვერდი გვერდ ცხოვრობდა და დანაშაულის გეგმას ადგენდა, არა მათ საერთო ჰქონდათ ნარკოტიკების სიყვარული და აზარტული თამაშები. ყოველივე ეს დიდ ფულს მოითხოვდა, ფულის მოპოვება კი შრომით არც ერთმა მათგანმა არ იცოდა. ალბათ ყოველივე ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ პროცესების შენელება და ნაწილობრივ თავიდან აცილება ალბათ შეიძლებოდა, საზოგადოება რომ გულგრილი არ ყოფილიყო, გულგრილობა კი ყოველ ნაბიჯზე ხელს უწყობდა ბანდას ბოროტების თესვაში, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა...

**ს. ალავიძე**

ჩანახატი

# უდიდეს ენერგიას მოითხოვს...

...**ვერ** ვიტყვი, მთიელი კაცისათვის ადვილი იყოს თავის თავზე ლაპარაკი. არც იმის დაჯერება შეიძლება, რომ მილიციის ორგანოში ოცი წლის მუშაობის სტაჟის მქონე მილიციის უფროს ლეიტენანტს არნოლდ ჯანგირაშვილს არაფერი ჰქონდეს მოსაყოლი. ალბათ ბევრი უძილო ღამე ახსოვს ამ ტანბრგე კაცს. მრავალჯერ სასოწარკვეთა და სიხარულიც დაუფლებია. მილიციელები ხომ ყოველთვის მზადყოფნაში არიან, უდიდეს ენერგიას მოითხოვს მათი პროფესია.

ა. ჯანგირაშვილმა მშობლების რჩევით დაიწყო მუშაობა დუშეთის შს რაიონულ განყოფილებაში. იგი ათი წელი რიგითი მუშაკი იყო. შემდეგ მილიციის საშუალო სპეციალური სკოლა დაამთავრა დაუსწრებლად და უბნის რწმუნებულად გადაიყვანეს. წლების განმავლობაში მას რაიონის სხვადასხვა ზონაში უხდებოდა მუშაობა. განსაკუთრებით რთულია ჟინვალის უბანი.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ უამრავ ხალხს მოუყარა აქ თავი. განსხვავებულია მათი ზნე-ჩვეულებანი და კულტურული განვითარების დონე. ხშირია შერეული ქორწინება. სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები ზოგჯერ ვერ ეგუებიან ერთმანეთს, რაც წარმოშობს ოჯახურ კონფლიქტებს. გარდა ამისა ასეთ ნაკრებ ხალხს შორის უპასუხისმგებლო და საეჭვო ყოფაქცევის პიროვნებაც მრავლად არის, რაც ძაბავს სიტუაციას, ძნელდება ოპერატიული ვითარების სტაბილიზაცია.

ა. ჯანგირაშვილი ყოველთვის ცდილობს მოდავეების უმტკივნეულოდ შერიგებას, რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას. იგი არაერთ ინციდენტს იხსენებს...

უბნის ინსპექტორი ამჩნევდა, რომ გ. თ. გვიან ღამით ხშირად იყო ქუჩაში, კავშირი ჰქონდა ამორალური ყოფაქცევის ქალებთან. ერთ ღამეს, ნასვამმა ახალგაზრდამ ჟინვალიდან დუშეთისაკენ მოისურვა გასეირნება. ტრანსპორტის უქონლობამ სულაც არ დაადარდიანა. ჩამოუარა კორპუსებს, შენიშნა გაჩერებული მანქანა, ჩაუმტვრია საქარე მინა და ელსადენების შეერთებით ცდილობდა აემუშავებინა იგი. უბნის ინსპექტორმა შემოვლის დროს ფაქტზე დააკავა გ. თ.

მრავალი მსგავსი შემთხვევის გახსენება შეუძლია არნოლდს. მისი თაოსნობით ამ უბანზე, ჯერ მარტო სამი საკავშირო ძებნილი დააკავეს.

1989 წლის იანვრიდან ა. ჯანგირაშვილი უბნის ინსპექტორია არასრულწლოვანთა ხაზით. მას კავშირი აქვს საშუალო სკოლებთან, ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს, დიდ ყურადღებას აქცევს სასწავლებლებში პროფილაქტიკურ მუშაობას.

საქართველოში სასიკეთო ცვლილებები ხდება, ეროვნული მოძრაობის მთავარი ძალა ახალგაზრდობაა. ჩვენთვის ძლიერ საჭიროა ყოველი ქართველის სიცოცხლე. არც ერთი პიროვნება არ უნდა ასცდეს კეთილ გზას, არც ერთი ჭაბუკის ენერგია არ უნდა დაიკარგოს, ასე ფიქრობს ა. ჯანგირაშვილი და ცდილობს მეგობრულად დაეხმაროს მას, ვისაც ეს სჭირდება (ამჟამად არასრულწლოვანთა აღრიცხვაზეა 10 ახალგაზრდა).

მოსწონს ახალი თაობის გაბედულება, მომთხოვნელობა. არც კონტაქტის დამყარება უჭირს მათთან. ადვილად ახერხებს მოზარდებთან გულახდილობის ატმოსფეროს შექმნას. ამაში ალბათ მამაშვილობის გრძნობაც ეხმარება უბნის ინსპექტორს, ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟკაცი იზრდება მის ოჯახში.

— ახალგაზრდობა და გაზაფხული საოცრად გვანან ერთმანეთს, — ამბობს არნოლდი — ორივე ძლიერია და ლამაზი, განახლების სათავეა და მოუთმენელი...

**მარინა ბერიტიშვილი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

# გამოიჩინეს პროფესიული ოსტატობა

**მიმდინარე** წლის 14 იანვარს, ღამის პირველ საათზე ლენინის რაიონის დაცვის განყოფილების თანამშრომლების ცენტრალური სადისპეჩერო პულტის უფროსის, მილიციის კაპიტნის ჯ. რუსტამოვის, მორიგე ინსპექტორის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის ნ. ჩიკვილაძის, მილიციის უფროსი სერჟანტის ვ. არუთინოვის, მილიციის რიგოსანი ლ. ჯიჯეიშვილის, მილიციის ზემდეგის ა. მაგალოვის და ობიექტის დაცვის უფროსის ა. კენჭოშვილის მიერ გურამიშვილისა და გუდამაყრის ქუჩების გადაკვეთაზე დაკავებული იქნა ორი მოქალაქე, რომლებიც იარაღის მუქარით გადაუდგნენ გამვლელ ავტომანქანას და მოახდინეს გასროლა.

ბოროტმოქმედთა შეპყრობის დროს გამოჩენილი ოპერატიულობისა და პროფესიული ოსტატობისათვის განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ გ. კეკელიას ბრძანებით ჯ. რუსტამოვს მოეხსნა საყვედური, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები დაჯილდოვდნენ ერთითვის ხელფასით.

# ПОЖАР НА КОРАБЛЕ

**ПОЗДНО** ночью на океанском рыболовецком лайнере «Ейск» Новороссийского порта, находящемся на ремонте на потийском судостроительно - судоремонтном заводе, возник пожар. Сразу же на место возникновения пожара мгновенно выехали подразделения военизированной и профессиональной пожарной охраны г. Поти. По прибытию начальниками подразделений старшими лейтенантами внутренней службы Г. Гоголем и М. Лемонджава было сформировано газодымозащитное отделение в составе трех человек. В подсобных помещениях была большая задымленность. Вскоре было установлено, что пожар возник в трюме машинного отделения.

Около трех часов длилась борьба со стихией, где в конце концов и на этот раз победителями вышли пожарные. Огонь был укрощен, благодаря самоотверженным действиям пожарных «Ейск» был спасен.

Надо отметить, что подобный случай не первый на судостроительно - судоремонтном заводе. Пожары возникали и на других кораблях и даже на «Ейске», который 21 августа 1984 года там же находился на ремонте. Это говорит о том, что руководители завода мало внимания уделяют пожарной безопасности судов, находящихся на ремонте. Завод несет ответственность за корабли во время ремонта, вплоть до их сдачи в эксплуатацию.

А руководство завода с каждым годом сокращает штаты пожарных, им не приобретаются новые технические современные средства для борьбы со стихией.

**Л. ЧОЧУА,**
**начальник профессиональной пожарной части г. Поти.**

# ВСТРЕЧА ДВУХ ПОКОЛЕНИЙ

**БОЛЬШУЮ** роль в нравственном становлении молодых сотрудников милиции играют их встречи с ветеранами органов внутренних дел. Одна из подобных встреч состоялась 21 февраля в актовом зале учебного центра МВД Грузинской ССР. Она прошла под девизом «Подвиг отцов — гордость для сыновей».

На встречу к молодым сотрудникам пришли ветераны: полковники милиции в отставке заслуженные чекисты МВД СССР, кавалеры орденов Красной Звезды Отар Квачадзе и Николай Арзиани.

Встреча, инициаторами которой были руководство учебного центра МВД ГССР и Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР, прошла в теплой и дружеской обстановке. Выступившие О. Квачадзе, Н. Арзиани рассказали молодым сотрудникам о пройденном жизненном пути от рядового до полковника, поделились опытом работы, рассказали некоторые эпизоды их героических поступков, за что были награждены орденами, кстати О. Квачадзе дважды удостоен ордена Красной Звезды, и призвали молодых сотрудников честно и добросовестно выполнять свой долг, приумножать славу грузинской милиции.

Выступивший заместитель начальника учебного центра МВД ГССР по политчасти майор милиции В. Месхишвили поблагодарил ветеранов-чекистов за теплую встречу и от имени молодых сотрудников вручил им памятные подарки.

В заключение вечера состоялся второй акт «Вечера смеха», авторами которого были артисты агитбригады Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР «Садгенсо» под руководством Ладо Хелашвили.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**



НА СНИМКЕ: во время встречи.

Фото М. ПЕКЕЛИСА.

## Только факты

▲ **19 февраля сотрудниками ЛОВД на ст. Самтредиа уличены буфетчица столовой № 2 г. Тбилиси Вера Т. и жительница г. Тбилиси домохозяйка Асинета Б., которые в г. Туапсе на колхозном рынке закупили искусственные цветы по 6.000 штук каждая на общую сумму 1.200 рублей с целью перепродажи по месту жительства.**

▲ **21 февраля сотрудниками ЛОВД на ст. Сухуми в поезде Ростов — Ереван задержан житель с. Назарански Чечено-Ингушской АССР Роман Б., у которого при личном обыске обнаружено и изъято 690 г марихуаны.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# В ДУХЕ ГЛАСНОСТИ

**ВСЕ БОЛЕЕ** прочными и плодотворными становятся в последнее время контакты работников органов внутренних дел республики с представителями средств массовой информации. Это особенно важно сейчас, в условиях идущих в стране и республике сложных общественно - политических процессов, дальнейшего развития гласности и демократии, строительства основ правового социалистического государства, когда необходимо как можно полнее информировать общественность о состоянии борьбы с преступностью, ее динамике.

Именно эти вопросы были в центре внимания на состоявшейся на днях в Доме журналистов встрече сотрудников центральных газет, радио и телевидения республики с руководящими работниками УВД Тбилгорисполкома. Открывая встречу, начальник управления полковник милиции Р. Тушурашвили в первую очередь проинформировал журналистов о состоянии борьбы с преступностью по итогам прошлого года. Было отмечено, что оперативная обстановка в столице республики остается сложной, в прошлом году отмечался рост практически по всем видам преступлений. Связано это прежде всего с тем, что в прошлом году значительная часть личного состава управления неоднократно привлекалась к охране общественного порядка в ходе возникавших в различных регионах республики экстремальных ситуациях. В то же время на ряде направлений наметились положительные сдвиги. Так, в частности, за 1989 год больше выявлено и обезврежено преступных групп, раскрыто преступлений по линии БХСС. С учетом того, что в прошлом году 90 процентов убийств совершено с применением холодного оружия, в нынешнем работниками УВД проведено уже восемь рейдов, в ходе которых изъято около тысячи ножей, 150 топоров, несколько единиц огнестрельного оружия (на снимке).

Оценивая стоящие перед столичной милицией задачи, Р. Тушурашвили привлек внимание журналистов и к ряду имеющихся у сотрудников управления нерешенных проблем. За последние годы наблюдается существенный рост населения Тбилиси, в то время как численность милиции остается прежней есть проблемы с тем, что сотрудники милиции, защищая правопорядок, сами недостаточно защищены законом, не определены четко их права и обязанности. Решение этих и многих других вопросов, подчеркнул полковник милиции Р. Тушурашвили, видится на пути создания муниципальной милиции, что позволит увеличить численность рядового состава, перераспределить силы на наиболее ответственные участки, улучшить материально - техническое оснащение подразделений милиции.

Затем Р. Тушурашвили, начальник отдела уголовного розыска полковник в/с Г. Шония, начальник отдела ГАИ полковник милиции В. Рогава и другие руководящие работники управления ответили на многочисленные вопросы журналистов. Особый интерес вызвали проблемы, связанные с состоянием криминогенной обстановки в различных районах Тбилиси, совершенными в последнее время с крайней жестокостью убийствами, участившимися угонами автотранспорта, борьбой с наркоманией, улучшением организации дорожного движения, работой участковых инспекторов, деятельностью неформальных объединений. На все вопросы сотрудниками милиции были даны четкие и квалифицированные ответы.

«Состоявшийся откровенный и заинтересованный разговор был всем нам очень полезен, помог лучше понять позиции друг друга по ряду актуальных вопросов, — поделился своими впечатлениями о встрече начальник политотдела УВД Тбилгорисполкома майор милиции В. Санадзе,—подобные встречи обязательно нужно сделать традиционными — ведь они способствуют укреплению связей милиции с общественностью, консолидации всех здоровых сил общества и, в конечном счете, достижению желаемых результатов в борьбе с преступностью». С этим мнением были согласны и все участники этой интересной встречи.

**А. ЦАТУРОВ.**



## Отчизны верные сыны

**СОВЕТСКАЯ АРМИЯ воспитала, а в годы Великой Отечественной войны и закалила многочисленные военные кадры, среди которых и много наших грузинских военачальников:**

**маршал инженерных войск А. Геловани, генерал-полковник Герой Советского Союза П. Чанчибадзе, генерал-полковник Герой Советского Союза К. Леселидзе, генерал-полковник А. Инаури, генерал-лейтенант доктор военных наук профессор И. Джорджадзе, генерал - лейтенант Герой Советского Союза В. Джанджгава, генерал - лейтенант М. Глонти, генерал-лейтенант Герой Советского Союза В. Нанейшвили, контр-адмиралы М. Джинчарадзе и В. Лежава, генерал - майоры: Герой Советского Союза Э. Коберидзе, Г. Курашвили, З. Харебов, К. Джохуа, В. Хубулури, П. Абрамидзе, П. Чхобадзе, П. Шиошвили, Н. Каладзе, Г. Джинчарадзе, полковники: Г. Каначадзе, К. Сохадзе, М. Бускадзе, В. Джанджгава, У. Тавадзе, П. Цикоридзе, С. Хоперия, Герой Советского Союза А. Кантария, К. Григалашвили, А. Самсонидзе, В. Чаладзе, Ш. Папидзе, Д. Мачарадзе, Л. Двали, Д. Джабуа, Х. Бежанидзе, А. Баджелидзе...**

**Фамилии этих и других военачальников, героев Отечественной войны, золотыми буквами вписаны в историю Советских Вооруженных Сил.**

## გახსენება

# ...სიძველისადმი გრძნობა პატივი

**თუ ვინმეს** არსებობის ისტორიას შორსა აქვს ფესვები გადგმული, ეს ქართველი ერის ისტორიაა, რომელსაც საუკუნეობით ქმნიან გამოჩენილი და მოაზროვნე ადამიანები. ბრძოლით, წამებით, რუდუნებით იწერებოდა ისტორიის ყოველი ახალი ფურცელი და თაობიდან თაობას დიდ ტრადიციულ მემკვიდრეობად გადაეცემოდა.

გიორგი ჰილაშვილიც იმ სახელოვან წინაპართა გვერდითაა, რომელთა ხსოვნას და განვლილ გზას მუხლმოდრეკილი ვეთაყვანებით. პირველი ქართველი პროკურორი, მოაზროვნე და სოციოლოგი, ქართველი გლეხკაცის მოსარჩლე და მოამაგე. მართალია ჩვენი საგაზეთო ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას ფართოდ მიმოვიხილოთ გ. ჰილაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა დეტალი, მაგრამ მისი დაბადებიდან 200 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მცირეოდენი ინფორმაციის მიწოდება მკითხველისათვის არ იქნება ინტერესს მოკლებული.

გ. ჰილაშვილმა სწავლა-განათლება მიიღო პეტერბურგში. პირველი მისი სამსახურებრივი მოღვაწეობა დაკავშირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სადაც ის მთარგმნელად მუშაობს. მალე უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით გ. ჰილაშვილი საგუბერნიო მდივნის თანამდებობაზე იქნა დამტკიცებული. მისი ნიჭი მალე პოულობს აღიარებას და პირველი წარმატებებიც სახეზეა. 1810 წელს მას წარჩინებული სამსახურისათვის წოდებიანი მრჩევლის ტიტული მიენიჭა.

მართალია გ. ჰილაშვილი პეტერბურგში მოღვაწეობდა, მაგრამ მისი სურვილი ყოველთვის იყო საქართველოში დაბრუნება და ქართველი ერის სამსახურში ყოფნა. 1820 წლის სექტემბერში გ. ჰილაშვილი იგზავნება სამსახურისათვის საქართველოს უმაღლეს მმართველობაში და მალე მას კარის მრჩევლის წოდებასაც ანიჭებენ.

1821 წლიდან კი გ. ჰილაშვილი საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორია. მეტად ნაყოფიერი, მრავალმხრივი იყო მისი ამ თანამდებობაზე მუშაობა. იგი არაერთი საინტერესო წამოწყების ინიციატორი იყო. სწორედ გ. ჰილაშვილმა აღძრა შუამდგომლობა ერმოლოვთან საქართველოში დაეწესებინათ ვექილის შტატიანი თანამდებობა, რათა დაწესებულიყო მეთვალყურეობა მაზრებში, არ აეკრიფათ მოსახლეობისაგან აკრძალული გადასახადები. მისი ეს წინადადება მთავარმართებლობამ მიიღო. ასევე გ. ჰილაშვილს ეკუთვნის აზრი საბატონო რიგის ბეგარა — ვალდებულებათა განსაზღვრის შესახებ. ის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და როგორც პროკურორი მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა. 1923 წლიდან ის მონაწილეობს იმ კომიტეტში, რომელსაც უნდა გამოევლინა კერძო პირების მიერ საქართველოში მითვისებული სახაზინო ქონება. გ. ჰილაშვილს, როგორც სპეტაკ და უანგარო მუშაკს მიღებული ჰქონდა არერთი ჯილდო, მათ შორის წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი.

ყველასთვის საინტერესო მომენტი გ. ჰილაშვილის ბიოგრაფიიდან ესაა 1832 წელი — შეთქმულების ჩვენთვის კარგად ცნობილი ისტორია. მართალია მას უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია შეთქმულებაში, მაგრამ უეჭველია მასთან მისი იდეური კავშირი. იმდროინდელ მთავრობას ამის შესახებ მეტად სარწმუნო ცნობები გააჩნდა, რის გამოც გ. ჰილაშვილი ჟანდარმერიის მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს. მისი სამსახურებრივი წინსვლა და წარმატებები ამ მიზეზით ერთ ადგილზე გაიყინა. ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ 1832 წლის შეთქმულების გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში ჰილაშვილს ერთდროულად განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტებზე უმიზნებდნენ, მაგრამ დრომ ყველაფერი შეცვალა.

1838 წელს გ. ჰილაშვილი გოლოვინის სპეციალური დავალებით იგზავნება ლენქორანში, სადაც მძიმე სენით შეპყრობილი იღუპება.

გ. ჰილაშვილი ავტორია მთელი რიგი შრომებისა ეთნოგრაფიასა და ეკონომიკაში, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, მაგრამ მისი სახელი ერის ისტორიაში შევა, როგორც პირველი ქართველი პროკურორისა და სამართალმცოდნესი.

**მ. მოსიძე.**

# მადლიერების გრძნობით

**მიმდინარე** წლის 16 თებერვალს ქართველმა ინტელიგენციამ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მადლიერების გრძნობით აღნიშნა პროფესორ მიხეილ ზანდუკელის დბადების 100 წლისთავი.

საქართველოს რომელ კუთხეში არ მოიძებნება მისი ნამოწაფარი, კულტურისა და სახალხო მეურნეობის რომელ უბანზე არ იქნება მის მიერ აღზრდილი. საიუბილეო საღამოზე ბევრი თბილი და სიყვარულით აღსავსე სიტყვა ითქვა მის მიმართ. მოგონებებით გამოვიდნენ მისი ყოფილი მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებმაც წარმოაჩინეს ბატონი მიხეილის მაღალი სული და ინტელექტი.

მიხეილ ზანდუკელის აღზრდილია დედაჩემიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი გნყოფილების უფროსი, შინაგანი სამსახურის მაიორი ლ. ახალაშვილი. დედა ყოველთვის სიყვარულით და მოწიწებით იგონებს ბატონ მიხეილს. დედას სტუდენტობის წლებში (მას დამთავრებული აქვს თსუ იურიდიული ფაკულტეტი) ბატონი მიხეილის ოჯახში უცხოვრია და იგი ხშირად იტყვის ხოლმე „მის ოჯახში ობოლთა სახლი იყო, სადაც ყველა ობოლი და ხელმოკლე ნათესავი პოულობდა თავშესაფარსო".

ბატონმა მიხეილმა თვითონ იგემა გაჭირვებაც და ხელმოკლეობაც გადასახლებაში. იგი ერთ-ერთი იმ ინტელიგენტთაგანი იყო, რომელსაც თავს დაატყდა რეპრესიების სუსხი.

ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე სკოლასა და უნივერსიტეტში მას იმდენი ნამოწაფარი, იმდენი შეკედლებული და გზაზე დაყენებული ჰყავს, რომ მათთვის ყოველთვის სასიამოვნო იქნება ამ დიდი ადამიანის გახსენება.

მეც დედასთან ერთად თავს ვხრი ამ დიდი მამულიშვილის ხსოვნის წინაშე.

**ლელა ვარდიშვილი**

**ქ. თბილისის № 2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის XIბ კლასის მოსწავლე.**

# გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**ჩვენი** გაზეთის რედაქცია ღებულობს წერილებს, რომლებშიც თანამშრომლები გვთხოვენ გავარკვიოთ მათთვის საინტერესო საკითხებში.

ზესტაფონის შს რაიგანყოფილების მუშაკი რ. ბახტიძე გვწერს, რომ იგი ახლახან დაქორწინდა და აინტერესებს შეუძლია თუ არა აიღოს სახელმწიფო სესხი. როგორც შს სამმართველოში საფინანსო-საგეგმო განყოფილებაში გვითხრეს შს სამინისტროს სისტემაში მსგავსი სესხი არ გაიცემა.

რედაქციაში შემოსულ წერილებში და ტელეფონით ხშირად გვეკითხებიან თუ რატომ არ მისდით მათ ჩვენი გაზეთის ესა თუ ის ნომერი (როგორც ამას ადგილი ჰქონდა გორის რაიონის მცხოვრების ნ. ტერტერაშვილის და სხვათა შემთხვევაში). აღნიშნულიდან გამომდინარე განვმარტავთ, რომ მზა ნომრის გაგზავნა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. ამა თუ იმ ნომრის მკითხველამდე არმისვლის შემთხვევაში მან უნდა მიმართოს „სოიუზპეჩატს" ან ფოსტის ადგილობრივ განყოფილებას.

# მხიარულ ატმოსფეროში



**ახლახან** შს სამინისტროს კულტურის სახლში თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჩატარდა ბავშვთა თვითმოქმედი კოლექტივების საჩვენებელი კონცერტი. მონაწილეობდნენ ანსამბლები: „მაისი", „ნაკადული", „მეგობრობა", რომლებიც საინტერესო პროგრამით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანსამბლ „მეგობრობის" მონაწილეთა ფერად-ფერადი კოსტიუმები, რაც მისი ხელმძღვანელის ფაინა ულიცკაიას დამსახურებაა, ასევე სასიამოვნო სანახავი და მოსასმენი იყო „ნაკადულის" ცეცხლოვანი ცეკვები და „მაისის" გოგონების მელოდიური სიმღერები, კონცერტმა ჩაიარა მხიარულ ატმოსფეროში.

**მ. ხოსელია**

**სურათზე: „ნაკადულის" ნორჩი მოცეკვავეები.**

**რ. ანტონიანის ფოტო,**

ინდექსი 66889

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოზმაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 09310